



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

კულტურული კონცეპტები „ვეფხისტყაოსნის“
თურქულ თარგმანში

ნონა ნიქაბაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი
მოწვეული მასწავლებელი
+995555540887. nona.nikabadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-5520-2860

გულ მუქერემ ოზთურქ

რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი
ასოც. პროფესორი
+905444627819. gul.ozturk@erdogan.edu.tr
ORCID: 0000-0003-1875-4954

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პროფ. ბილალ დინდარისა და ასისტ. პროფესორ ზეინელაბდინ მაქასის მიერ თურქულად თარგმნილ შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ კორპუსლინგვისტურ და კრიტიკულ ანალიზს. ჩვენ წარმოგიდგინებთ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებას.

„ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ლიტერატურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია. „ვეფხისტყაოსანი“ ლირიკული პასაჟების შემცველი ეპიკური თხზულებაა, რომლის სიუჟეტი არაბეთსა და ინდოეთში ვითარდება. სამიზნე ენაში ხშირად ვხვდებით კულტურულ-სპეციფიკურ კონცეპტებს, მთარგმნელი ცდილობს საკუთარ კულტურას მთარგმოს ორიგინალ ტექსტში

არსებული ლექსიკური ერთეულები. ეს კულტურული კონცეპტებია: მზე, მთვარე, ეშმა, ღვინის სმა.

კვლევისას ვიყენებდით შემდეგ **მეთოდებს**: კვლევის **კორპუსლინგვისტური მეთოდი**, რომელიც თანამედროვე ჰუმანიტარულ კვლევებში აქტუალურია. ამ მეთოდის გამოყენება დიდი მოცულობის ემპირიული მასალის სწრაფად და ეფექტურად დამუშავების საშუალებას იძლევა, რაც კვლევის პროცესს ამარტივებს. კვლევის პროცესში ასევე გავიყენეთ **ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მეთოდი**. თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები შედარებით-შეპირისპირებითი ხასიათისაა, რადგან ორი ან მეტი ენის მასალის შედარებისას განსაკუთრებულად მკვეთრად ვლინდება კონცეპტების ნაციონალური სპეციფიკა და უნივერსალობა. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მიხედვით სამ განსხვავებულ კულტურულ ტექსტში ჩვენ გამოვიკვლევთ არსებულ კულტურულ კონცეპტებს, რაც დაგვეხმარება დაწვრილებით აღვწეროთ ენობრივ პროცესში გამოხატული კულტურული ცნებები.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“; თურქული თარგმანი; ეშმა; მზე; მთვარე.